საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №403

31. 05 2010 წ.

თბილისი

2010 წლის მასწავლებლის სასერთიფიკაციო გამოცდის ნაწილების ჩატარების თარიღების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 4 დეკემბრის №1101 ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა სერტიფიცირების დებულების" მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - გამოცდების ეროვნული ცენტრის 2010 წლის 24 მაისის №25/22545 წერილის გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2010 წლის მასწავლებლის სასერთიფიკაციო გამოცდის ნაწილების ჩატარების თარიღები განისაზღვროს შემდეგი სახით:
   ა) უნარები – 13 ივლისი;
   ბ) ქართული ენა და ლიტერატურა – 19 ივლისი;
   გ) მათემატიკა – 20 ივლისი;
   დ) გერმანული, ფრანგული, ინგლისური და რუსული ენები – 21, 22 და 23 ივლისი;
2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ბრძანების გამოქვეყნება სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

დიმიტრი შაშკინი